საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს შ.პ.ს "სანაპირო" -ს მიმდებარედ ს/კ (01.13.02.001.046) საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: გიორგი ბენდელიანმა

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი", შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპრტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების თანახმად.

2020 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული № 732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების".

1. შენიშვნები

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. **წესები** - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

1. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა.

დაგეგმარების საწყისები და მიზნები

ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №5741594; 24/12/2021. წლის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა–ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი (3495 მ2) ქ.თბილისი ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №4 ს/კ 01.13.02.001.046. ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება მთავარი მისასვლელი გზა. დასავლეთიდან კერძო საკუთრებაში არსებული გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთი, აღმოსავლეთიდან და სახმრეთიდან მერიის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთი აქვს მცირე დახრა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, სადაც დონეთა სხვაობა 421.89 მეტრიდან 420.77 მეტრამდეა, ტერიტორია თავისუფალია ყოველგვარი განაშენიანებისაგან. ტერიტორიაზე ასევე არ გვხვდება ხე-ნარგავები მათი დარგვა მოხდება დენდროლოგიური პროექტის შესაბამისად. (იხ.დენდროლოგიური პროექტი).

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო შენობა წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობას. შენობა 6 სართულიანია, რომლის 2 სართული წარმოადგენს მიწისქვეშა სართულს. მიწისქვეშა სართულებზე ძირითადად განთავსებულია ავტოსადგომი, დამხმარე სივრცეები, სასაწყობე სივრცე და ტექნიკური ოთახები. ±0.00 ნიშნულზე განთავსებულია სავაჭრო სივრცეები. +5.00 ნიშნული განთავსებულია სპორტული დარბაზი. +8.60 და +12.20 ნიშნულებზე განთავსებულია საოფისე სივრცეები. შენობას გააჩნია ორი კიბის უჯრედი და 4 დამოუკიდებელი ლიფტი. დიდ ლიფტში სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების ბრიგადებს შეეძლებათ საკაცის განთავსება. შენობა ადაპტირებულია შშმპ პირებზე. შენობის სიმაღლე „მიწის დონის ნიშნულიდან“ შეადგენს 18.20 მეტრს, ხოლო სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 12.30 მეტრზე. საპროექტო შენობა, სიმაღლის, დაკავებულობის ფართობის და სტრუქტურული ელემენტების ცეცხლმედეგობის მიხედვით შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება I-B კონსტრუქციის ტიპს. შენობის ბარე კედლები ძირითადად დაფარულია კომპოზიტური პანელით, მხოლოდ მცირე ნაწილი იღესება დეკორატიული ლესვით და შემდგომ დაგეგმილია მისი შეღებვა მაღალი ხარისხის საფასადე საღებავით, კარფანჯარები და ვიტრაჟები გათვალისწინებულია შავი ფერის ბლუვი ზედაპირის მქონე ალუმინით. ტერიტორია კეთილმოიწყობა, გამწვანდება. მოეწყობა ბუნებრივი ბალახი, დაირგვება ხე-ნარგავები.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობა-ნაგებობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასით, რომელის საძირკველიც წარმოადგენს ხიმინჯებს. სახურავი ბრტყელი გადახურვისაა, რომელიც არ არის გამოყენებადი. ბარე კედლების შემავსებლად გამოყენებულია 20 სმ. სისქის ბლოკი. შენობების კონსტრუქცია **I-B** ტიპისაა.

4. ძირითადი ნაწილები

1. დაკავებულობისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო ობიექტებისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

სწ-1 (311.2) საშუალო საფრთხის შემცველი სასწყობე ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "შაქარი, მარცვლეული საკონი, თამბაქო, სიგარები, წიგნები და ქაღალდები, ჩექმები და ფეხსაცმელი, ტანსაცმელი მათ შორის-შალი, თოკები, ავეჯი", ეს დაკავებულობა განთავსებულია -6.10 და -3.00 ნიშნულზე არსებულ სართულზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (46.5 მთლიანი)

სწ-2 (311.3) მცირე საფრთხის შემცველი სასწყობე ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები"-ს. ეს დაკავებულობა (ღია ავტოსადგომი) მოწყობილია -6.10 და -3.00 ნიშნულზე არსებულ სართულზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის ფაქტორი (18.6 მთლიანი).

სმ-1 (306.2) საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "დანადგარების, ელექტრო ნაწარმის, ოპტიკური საქონლის", ეს დაკავებულობები განლაგებულია -3.00 და +12.20 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი (27.9 მთლიანი).

სვ (309.1) სავაჭრო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "საცალო და საბითუმო მაღაზიებს". ეს დაკავებულობა (მაღაზია) განთავსებულია ±0.00 ნიშნულზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (2.8 მთლიანი).

თვ-3 (303.4) თავშეყრის ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "სპორტულ დარბაზებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე)", ეს დაკავებულობა განლაგებულია +5.0 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (4.7 მთლიანი).

სძ (304.1) საძმიანი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს (საოფისე ფართები). ეს დაკავებულობა განლაგებულია +8.60 და +12.20 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (9.3 მთლიანი).

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება:

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-1 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	2
ფართი	4460	589.4
სიმაღლე	48.8	12.35

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	2
ფართი	7340	3257.9
სიმაღლე	48.8	12.35

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სმ-1 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	2
ფართი	შეუზღუდავი	59.0
სიმაღლე	48.8	12.35

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სვ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	1
ფართი	შეუზღუდავი	1448.3
სიმაღლე	48.8	12.35

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (თვ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	1
ფართი	შეუზღუდავი	1842.9
სიმაღლე	48.8	12.35

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სქ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	1
ფართი	შეუზღუდავი	3721.3
სიმაღლე	48.8	12.35

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-10 თავის შესაბამისად. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და მინიმუმ 3 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების 1009.3 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი ორივე გასასვლელის გზა-კიბეები წესების 1027 ქვეთავის მიხედვით, მიწისპირა სართულზე სრულდება შენობიდან გამოსასვლელებით, კერძოდ:

საპროექტო შენობის ორივე შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე მიწისპირა სართულზე წესების 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი ფართობის გავლით უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელს და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეს.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე (±0.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს (სვ ჯგუფი) საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე ემსახურება 3 გასასვლელის (შენობიდან გამოსასვლელის) გზა-კარი. მიწისპირა სართულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების 1015.1 და 1015.2 ქვეთავის, ასევე 1021.1 და 1021.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების 1015.1 და 1015.2 ქვეთავის, ასევე 1021.1 და 1021.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია წესების 1007.3 ქვეთავის მოთხოვნები გზა-კიბეების სიბანესთან დაკავშირებით და 1007.6 ქვეთავის მოთხოვნები თავშესაფრის ფართობთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ერთზე მეტი გასასვლელი და შენობა სრულად არის აღჭურვილი ავტომაშხეფი სისტემით, შესაბამისად წესების ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის მიხედვით დაშვებული გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილები დაცულია. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების 1009 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია 1018 და 1023 ქვეთავების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან (გასასვლელის გზა-დერეფნები) ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო გასასვლელი გზაკარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად, ყველა მათგანი აკმაყოფილებს ყველა ძირითად მოთხოვნას.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

5. გზა-კიბის და სხვა გასასვლელი საშვალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების 1009 ქვეთავის შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინ. 1,30 მეტრი სიგანის გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების 1009.7, 1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაძნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზაკარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-კიბეების ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი. გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე თითოეული გზა-კარისთვის შეადგენს 0.82 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინ. 0,82 მეტრს. ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის დამცავების ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების 1018 და 1023 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების 1018.1 ცხრილის შესაბამისად დერეფნის კედლებს არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი, რადგან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. რაც შეეხება გასასვლელის გზადერეფნებს აღნიშნული დერეფნები აკმაყოფილებს წესების 1023 ქვეთავის ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში არსებული ჩიხური დერეფნები აკმაყოფილებს წესების 1018.4 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მოთხოვნებს.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება. განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

6. მისაწვდომობის შეფასება:

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11-თავის მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზე, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-11 თავის მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი. საპროექტო შენობის მიწისძვეშა და მიწის დონის ზედა სართულებზე მისაწვდომობა უზრუნველყოფილია ლიფტების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებენ წესების 1702.4 ძვეთავის მოთხოვნებს და მათში შესაძლებელია საკაცის განთავსება. აღნიშნული ლიფტები წესების 909.21 ძვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით, ლიფტები დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს მე-17 თავის ყველა აუცილებელ მოთხოვნას და მინიმუმ ერთი ლიფტი უნდა იყოს აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილი და უნდა აკმაყოფილებდეს წესების 1007.4 ძვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -3.00 და -6.10 ნიშნულზე მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომ ბარაჟში გამოყოფილია ავტოსადგომი ადგილი შეზღუდული შესაძლებელობის მქონე პირისთვის წესების 1106.1 ცხრილის შესაბამისად.

საპროექტო შენობაში არსებული ტუალეტებიდან თითოეულ მათგანში მოწყობილია წესების 1109.2 ძვეთავის მიხედვით განსაზღვრული მინიმუმ ერთი შშმ პირებისთვის განკუთვნილი მისაწვდომი ერთეული, სადაც განთავსდება შესაბამისი სტანდარტით მოწყობილი ხელსაწყო, ელემენტი, მაკონტროლებელი და გამანაწილებელი. საპროექტო დოკუმენატციის მიხედვით მისაწვდომია შიბა და გარე ყველა სივრცე, რომელიც მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზე.

უნდა აღინიშნოს რომ, წესების 1602.1 ძვეთავის მიხედვით სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი გარჩე) ჯგუფის დაკავებულობას არ მოეთხოვება წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები

სასაწყობო (სწ-2) ფართში საჭიროებს მძიმე ფიზიკური შრომის უზრუნველყოფას. შენობის მფლობელისა და არქიტექტურული პროექტის დამკვეთის განცხადებით სასაწყობე და დაკავებულობებში სამუშაოდ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება ყოველივე ამის საფუძველზე შესაძლებელია დავიშვათ, რომ სწ-2 ჯგუფის დაკავებულობაში არ იყოს შშმ პირებისთვის განკუთვნილი მისაწვდომი ტუალეტი.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ძვეთავის მოთხოვნებს.

შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601 ცხრილის მოთხოვნებს.

ორივე შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს, იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.

ორივე შენობის გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

გადახურვის კონსტრუქციის შემადგენლობა:
ორ ქანობიანი სახურავით (ქანობით მინიმუმ 5%).

- 2 საათიანი ხანძარმედეგი სენდვიჩ-პანელი
- ლითონის ელემენტები
- თვითმბურღავი ხრახნი
- სახურავის სენდვიჩ-პანელი
- ლითონის ელემენტები
- თვითმბურღავი ხრახნი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი ქანობიანი სახურავის კონსტრუქცია წესების 1507.4 ქვეთავის მიხედვით აკმაყოფილებს სახურავის ლითონის პანელებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ლითონის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის კლასს (ცხრილი1505.1ა) სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია წესების 1507.4.3(1) ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს შთ 755 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გადახურვის, სტრუქტურის კონსტრუქციის და სახურავის ბურულის მასალის წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 საათს პასუხისმგებელია მასალის მომწოდებელი და შენობის შემსრულებელი (ამშენებელი) მხარე, მასალის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატების მეშვეობით. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება. სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია მონაცვლესაფეხურებიანი კიბის მეშვეობით 1009,13 ქვეთავის მიხედვით
სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამიჯვნების შეფასება:

შენობა-ნაგებობა შერეული დაკავებულობაა მისი ყველა სართული და ყველა საცხოვრებელი ერთეული ერთმანეთისგან იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით), რაც სრულ შესაბამისობაშია **წესების** 508.4 ცხრილთან და **წესების** 420.2 ქვეთავთან.

11. ლიფტების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 4 ლიფტის მოწყობა, რომლთაბანაც 2 ლიფტი მისაწვდომია, 3-4 ღერძებში არსებული ლიფტი შენობის ყველა დონეს მისაწვდომს ქმნის **შშმ** პირთათვის, ისეა დაბეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2.15 X 0.6 ზომის საკაცის შეტანა, ხოლო 11-13 ღერძებში არსებული ლიფტი აკავშირებს -1 და -2 სართულზე მდებარე ავტოსადგომებს პირველ სართულზე მდებარე კომერციულ ფართთან. ყველა ლიფტშახტების შემომზღუდავები და სხვა ფართობებისგან გამმიჯნავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1702.1 ქვეთავის შესაბამისად შეადგენს 2 საათს. ლიფტის შახტის შემომზღუდავეების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 საათს, რაც აკმაყოფილებს წესების 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი და იმის გათვალისწინებით, რომ შენობა მთლიანად აღჭურვილი იქნება ავტოსაშხეფი სისტემით, №41 დადგენილებით სავალდებულო არ არის ლიფტის შახტები უზრუნველყოფილი იქნას დაწნევის სისტემით, თუმცა აღნიშნულს ეწინააღმდეგება საბანგებო სისტუაციის მართვის სააბენტო, შესაბამისად წარმოდგენილი პროექტით მოწყობილია დაწნევის სისტემა. -3.00 და -6.10 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომების სივრცეში გამომავალ ლიფტებს მოწყობილიაქ ტამბურები.

12. ხანძრისგან დაცვის სისტემები:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდები ხანძრისაბნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა (გამოყენებულია მთლიან შენობაში: შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში, სავაჭრო სივრცეში, ოფისებში და სხვა)

სახანძრო მილდგარების სისტემა (განსაზღვრულია ყველა დაკავებულობისთვის)

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში)

კვამლის საკონტროლო სისტემები (ლიფტები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით)

ხელის ცეცხლმაქრები (განსაზღვრულია ყველა დაკავებულობისთვის)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემებით, წესების 903.2.7, 903.2.10 და 903.11.3 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად.

ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების 903.3.1.1 და 903.3.5.2 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია I და II კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი წესების 905.3.1-ის ქვეთავის მოთხოვნებს. მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია კიბის უჯრედის ნაწილში ასევე თავშეყრის, სასაწყობო და საძმიანი ჯგუფის დაკავებულობების ფართობებზე წესების 905.4 და 905.5 ქვეთავების შესაბამისად.

საპროექტო დოკუემნტაციით წარმოდგენილი მილდგარების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების 905.2 ქვეთავის მოთხოვნას დაყენების სტანდარტთან დაკავშირებით, უნდა გამოიყენებოდეს 14-ის ან მისი ეკვივალენტური დონის სტანდარტი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების მე-9 თავის 907.2, 907.2.1, 907.2.2, 907.2.4 907.2.15 და 907.4.2 ქვეთავების შესაბამისად შენობაში დაყენებულია სახანძრო განბაშის, შეტყობინების და კვამლზე მორებირე მაუწყებლის მოწყობილობები.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან და საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე კვამლის საკონტროლო სისტემები უზრუნველყოფილია შენობის ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწილებში:

1. ლიფტები - წესების 909.21 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული სამგზავრო ლიფტები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით.

საპროექტო შენობაში განთავსებული ყველა კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების 909.19 ქვეთავის მოთხოვნების სისტემის აღიარებასთან დაკავშირებით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 906.1 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია, 906 ქვეთავის შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 912-ე ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, გამოყოფილია ადგილები სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების სისტემას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს წესების 901 ქვეთავის მოთხოვნებს, დაყენებასთან, აღიარებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით.

12. წყალსადენი მოწყობილობების ფიქსირებული შეფასება:

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობადა მინიმალური მოთხოვნები 1602.2 ქვეთავისა და 1602.1 ცხრილის მიხედვით. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, გლდანი-დიდმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს შ.პ.ს "სანაპირო" -ს მიმდებარედ ს/კ (01.13.02.001.046) საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები".

ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ექსპერტიზაში განსაზღვრული შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შესრულება. ექსპერტი არ არის პასუხისმგებელი შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

არქიტექტორი / ექსპერტი:

გელა ჩიხლაძე 04.05.2022 წ.

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საფუძველი: „მისაწვდომობის ეროვნული სტანარტები“
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს შ.პ.ს "სანაპირო" -ს მიმდებარედ
ქ.თბილისი, ქუჩა ვ.ნინუა, №3 ს/კ (01.13.02.001.046)
ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი
საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შ.პ.ს. "ბიჯი" გიორგი ბენდელიანი

ტექნიკური რეგლამენტი
„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:

შენობის ბლოკები:	იატაკის ზედაპირები; მოსატრიალებელი სივრცე; იატაკის თავისუფალი სივრცე; გამოშვერილი საგნები;
მისაწვდომი სვლაგეზი:	მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირი; თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები; პანდუსები; ლიფტი.
ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:	მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირი; მისაწვდომი გზა-კიბეები; ფანჯრები.
წყალსადენი სისტემები და მოწყობილობები:	ტუალეტების ოთახები; უნიტაზები; ხელსაბანები.
საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:	ნიშნები.
ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები:	სავაჭრო მომსახურებისთვის განკუთვნილი დახლები.

1 შენობის ბლოკები:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში იტაკის ზედაპირები, თავისუფალი და მოსატრიალებელი სივრცეები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-3 თავის დებულებებს.
• შენობის ყველა სართულზე მოწყობილი იატაკი არის მყარი, მდგრადი და არასრიალა მასალით დაფარული. დონეთა ცვლილება შეესაბამება 302 და 303 ქვეთავებს.
• თითოეულ მისაწვდომ სივრცეში მოწყობილია 304.3.1 ქვეთავის მიხედვით მოსატრიალლებელი სივრცეები 1700 მმ. დიამეტრითაა. გადაფარვა არ აღემატება 304.3.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ 250 მმ.-ს. ყველა მოსაბრუნებელი სივრცე აკმაყოფილებს 304 ქვეთავის მოთხოვნებს.
• იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივცეში აკმაყოფილებს 305.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
• თავისუალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ყველა შესაბამის მოწყობილობასთან დამადგართან და ავეჯთან გათვალისწინებულია 306 ქვეთავით მოთხოვნილი სივრცეები.

2. ადგილის და შენობის ელემენტები:

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:
• მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.
• მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.
• მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
• ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.
• მიკროავტობუსისათვის განკუთვნილი სივრცე ღიაა, შესაბამისად შვეული თავისუფალი სივრცე აკმაყოფილებს 2500 მმ თავისუფალი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნას.
• მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას - „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

• მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

<u>3. მისაწვდომი სვლაგეზი:</u>

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და პანდუსს რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
• იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
• მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
• სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
• სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.2 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
• საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.
• კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
• მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
• გზა-კარებები ზღურბლის გარეშეა და კართან იატაკის დონეები უცვლელია.
• კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
• იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.
• ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს 407.4 ქვეთავის მოთხოვნებს. დაცულია კაბინის სიგრძე და სიგანე, რაც პროექტში წარმოდგენილი გრაფიკული სახით. ლიფტის ბაქანი სადაც მოწყობილი იქნება გამოსაძახებელი ღილაკი დააკმაყოფილებს 407.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ, დაცული იქნება ღილაკის სიმაღლე, ზომა და იტაკის თავისუფალი სივრცე.

• ლიფტის კარი მოეწყობა 407.3 ქვეთავის მიხედვით. კერძოდ დაცული იქნება 407.3.1 და 407.3.2 ქვეთავების მოთხოვნები კარი იქნება თარაზულად მოსრიალე და ავტომატურად გაღებადი.

4. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს
ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
• ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.
• ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
• უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
• უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
• უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
• უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
• ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
• ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

5. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებეულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის # 41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:
• მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.
• მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.
• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

• სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
• ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
• სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.
• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
• ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
• ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
• შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
• სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
• ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება
• 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
• სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად
• 703.3.12 ქვეთავისა.
• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს,
კერძოდ:
• ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
• ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
• ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
• ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.
• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
• მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევვა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
• მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
• მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

<u>ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები:</u>

1. სავაჭრო მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლი შეესაბამება 904 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

- დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
- სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

№ 5911066 21/04/2022 გადაწყვეტილების მე-3 შენიშვნასთან დაკავშირებით განვმარტავ შემდეგს:

+5.10 ნიშნულზე თვ-3 ჯგუფად კლასიფიცირებული სპორტდარბაზის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 392-ს. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების 1602.1 ცხრილის თანახმად, თვ-3 ჯგუფის ისეთი სივრცეებისთვის, როგორიც არის სპორტული დარბაზები მოითხოვება შემდეგი რაოდენობის წყალსადენი სისტემები:

შეყრა							
თვ-3[დ]	აუდიტორიები, სადაც არ არის მუდმივი სკამები; სურათების გალერეები, საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები, სალექციო დარბაზები, ბიბლიოთეკები, გალერეები და სპორტული დარბაზები	1 ცალი 125- თვის	1 ცალი 65-თვის	1 ცალი 200-თვის	—	1 ცალი 500-თვის	1 სამომსახურო ნიჟარა
	სამგზავრო ტერმინალები და ტრანსპორთან დაკავშირებული ნაგებობები	1 ცალი 500-თვის	1 ცალი 500-თვის	1 ცალი 750-თვის	—	1 ცალი 1,000-თვის	1 სამომსახურო ნიჟარა
	საკულტო და საღვთისმსახურო ადგილები	1 ცალი 150-თვის	1 ცალი 75-თვის	1 ცალი 200-თვის	—	1 ცალი 1,000-თვის	1 სამომსახურო ნიჟარა

იმის გათვალისწინებით, რომ 1602.2 ქვეთავი და ზემოაღნიშნული ცხრილი ითხოვს თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობების განთავსებას, თვ-3 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა - 392 ორზეა შეფარდებული, ხოლო შემდეგ თითოეული სქესისთვის მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია მისადაგებულია 1602.1 ცხრილთან, კერძოდ:

<u>უნიტაზები:</u>

392/2=196

196/125 (კაცებისთვის)=2 **გათვალისწინებულია 2 უნიტაზი;**

196/65 (ქალებისთვის)=3 **გათვალისწინებულია 3 უნიტაზი.**

<u>ხელსაბანები:</u>

392/200 (ორივე სქესისთვის)=2

სავალდებულოა 1 ხელსაბანი ქალებისთვის, **გათვალისწინებულია 2;**

სავალდებულოა 1 ხელსაბანი კაცებისთვის, **გათვალისწინებულია 2.**

აბაზანები/შხაპები:

არ მოითხოვება;

წყლის დასალევი შადრევნები:

392/500 =1 **გათვალისწინებულია 1 წყლის დასალევი მოწყობილობა**

სხვა:

სავალდებულოა 1 სამომსახურო ნიჟარა, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თვ-3 ჯგუფისათვის განსაზღვრული წყალსადენი სისტემების რაოდენობა შესაბამისობაში ტექნიკური რეგლამენტის მე-16 თავით დადგენილ მოთხოვნებთან.

არქიტექტორი / ექსპერტი:

გელა ჩიხლაძე _____ 04.05.2022 წ.

შ ე ფ ა ს ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს შ.პ.ს "სანაპირო" -ს მიმდებარედ ს/კ (01.13.02.001.046) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

არქიტექტორი / ექსპერტი:

გელა ჩიხლაძე 04.05.2022 წ.

სერტიფიკატი

№ 2017-044

გადაეცემა

გელა ჩიხლაძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების

„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი





საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000307

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ფაკულტეტის 2007 წლის 24.07 გადაწყვეტილებით,

გ ე ლ ა ჩ ი ხ ლ ა ძ ე ს, დაბადებულს

1985 წლის 08.06, მიენიჭა

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ.ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

გაცემის თარიღი 2009წ. 04.12

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000307

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

A. KUTATELADZE TBILISI STATE
ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000307

This is to certify that by the decision of 24.07.2007

of the

A r c h i t e c t u r e faculty

of the **A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART**

Mr./Ms. G e l a C h i x l a d z e

born on 08.06.1985 was awarded Bachelor's Academic Degree

with a Major in t h e A r c h i t e c t u r e

Seal

Dean of the Faculty

Rector

ISSUED ON 04.12.2009

City TBILISI

REGISTRATION No. 000307

შ.პ.ს "არქ ლაინ"

"ARCH LINE" L.T.D

ქ. თბილისი რ.ურიდიას ქ. №77 Tbilisi r.uridias st. 77 ტელ/TEL : (+995) 557 70 38 21

ქ. თბილისი 27 მარტი 2020 წ.

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა გელა ჩიხლაძეს პ.ნ 01008024574, მასზედ რომ, იგი 2015 წლის 27 მარტიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს "არქ ლაინ" -ში (ს.კ. 400141967) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჯიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "არქ ლაინ"

დირექტორი რ. ჯაფარიძე